ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სახელმწიფო ტფილისი

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის თებერვლის 1.	№ 2 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 12. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკრებისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების 1 მუხლისათვის მე-4 შენიშვნის დამატების შესახებ.

„ 13. ამიერკავკასიის რკინის გზის აღმოსავლეთის უბნის მდგომარეობის გამოსაკვლევად კომისიის დაარსების შესახებ.

„ 14. ინსტრუქცია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდებების რეგისტრაციის წესის თაობაზე“ 1927 წლის ნოემბრის 17-ის თარიღითა და 55 №-ით გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ,—დამტკიცებული 1927 წ. დეკემბრის 17-ს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

„ 15. ამბ. ს. ლ. ლუკაშინის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და ამბ. ა. მ. ნაზარეთიანის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექ-ციის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

„ 16. ა/კსფსრ-ში საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატების მიერ ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის გამოსაღების ნიხრის დამტკიცების შესახებ.

„ 17. მვიდი საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კომისიების დაარსების შესახებ.

„ 18. მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმების წარდგენისა და აღნუსხვის შესახებ.

„ 19. მცირე შეძლების მოსახლეობისათვის ადგილობრივი გადასახადის ნარჩენისა, ჯარიმისა, და საურავის მოხსნის შესახებ.

„ 20. ამიერკავკასიის საავტო-ტრანსპორტო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოებისა და შოფერთა კოოპერატიული ამხანაგობის „მოტორ“-ის საქართველოს ოსსუბლიკის ტერიტორიის ავტო-რეისების სამგზავრო ბილეთებზე მიზნობრივი გამოსაღების დაწესების შესახებ საავტო-ტრანსპორტო პროფტეხნიკური განათლების ფონდისათვის.

„ 21. შინგამოხდილი არაყის დამზადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ.

„ 22. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევის წესის შესახებ.

„ 23. ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა ფში პროდუქტების საეტერინარო განსნჯვის გამოსაღების შესახებ.

„ 24. დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

12. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსალებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების 1-ლი მუხლისათვის მე-4 შენიშვნის დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსალებისა და ბაჟის მენარჩენთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ 1926 წლის აპრილის 15-ს დამტკიცებული წესების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 4, მუხ. 638) 1-ლ მუხლს დამატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 4.** ყოველგვარი გადასახადის (გარდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა) მენარჩენის ქონება აწერილი უნდა იყოს იმ გამონაკლისით, რაც დადგენილია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით; აწერა უნდა მოხდეს იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაიფაროს ნარჩენი საურავით; ამას უნდა მიემატოს დანარიცხი გადახდევინების ხარჯის დასაფარავად გადასახდელის თანხის 8% -ის რაოდენობით. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენის ქონების აწერა მოხდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების საფუძველზე გამოცემული ინსტრუქციების მიხედვით“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი — სასახლე. 1928 წ. იანვრის 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 13 (1679) №-ში 1928 წ. იანვრის 71-ს.

დადგენილება № 2 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

13. ამიერკავკასიის რკინის გზის აღმოსავლეთის უბნის მდგომარეობის გამოსაკვლევად კომისიის დაარსების შესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის რკინისგზის ბაზრბაიჯანის უბანში უკანასკნელ დროს გადიდდა ისეთ შემთხვევათა რიცხვი, რაც ხელს უშლის მატარებლების ნორმალურ მოძრაობას და რაც თვალსაჩინო მატერიალურ ზიანს აყენებს ტრანსპორტსა და იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ტრანსპორტი მომსახურეობას უწევს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის რკინისგზის აღმოსავლეთ უბნის მდგომარეობის გამოსაკვლევად დაარსებულ იქნეს კომისია, რომელშიაც შევლენ: ამხ. ყარაევი (თავმჯდომარე), რზაევი (აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო), აბდულაევი (ა/კ. რკინისგზის პროფ. კავშირი), ავაქიანი (ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექცია), ჟ. ქავთარაძე (ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო), ივანოვი (სსრკ გზათა სახალხო კომის. რწმუნებული ა/კ. რკინის გზაზე და ამავე რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარე) და ბაირამოვი (სსრკ გზათა სახ. კომ. რწმუნებულისა და ა/კ. რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარის წარმომადგენელი მე-4 რაიონში).

კომისია მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგება.

გამოკვლევის შედეგი წარმოდგენილ უნდა იქნეს 7 დღის გასვლისას.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. იანვრის 16-ს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 13 (1679) №-ში 1928 წ. იანვრის 17-ს.

ინსტრუქცია

14. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდებების რეგისტრაციის წესის თაობაზე" 1927 წლის ნოემბრის 17-ის თარიღითა და 55 №-ით გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ,—დამტკიცებული 1927 წ. დეკემბრის 17-ს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

§ 1. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ-ში და აგრეთვე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელთან საქართველოს სსრ-ში—აფხაზეთისათვის,—მოეწყობა სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების სარეგისტრაციო რესპუბლიკანური კომისიები სამი პირის შედგენილობით: თავმჯდომარე ან, მისი არ ყოფნის დროს, მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანო, და ორი წევრი, რომელთაგან ერთს წარგზავნის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირი სარეგისტრაციო კომისიის სამყოფელი ადგილის მიხედვით, ხოლო მეორეს—პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივი საბჭო ან ბიურო.

შენიშვნა. იმ სამომხმარებლო საზოგადოებას, რომლის მოქმედების რაიონიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარგალს სცილდება, რეგისტრაციას გაუკეთებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური სარეგისტრაციო კომისია.

§ 2. სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის წესდების რეგისტრაცია სწარმოებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სარეგისტრაციო კომისიაში; ამ კომისიაში შედის 3 პირი: თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის დროს, მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგია, და ორი წევრი, რომელთაგან ერთს წარგზავნის ამერიკავკასიის კოოპერატივთა კავშირი, ხოლო მეორეს—ამერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭო.

შენიშვნა. სამომხმარებლო საზოგადოებათა და კავშირთა წესდებების რეგისტრაცია, ამა დადგენილების თანახმად, მოხდება, მათ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა სავაჭრო რეგისტრაციისაგან დამოუკიდებლად, სავაჭრო რეგისტრაციის დებულების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 57, მუხ. 579) მიხედვით.

§ 3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური სარეგისტრაციო კომისიის მიზანია: 1) რეგისტრაცია გაუკეთოს სამომხმარებლო საზოგადოებათა ყველა საფეხურის კავშირს (გარდა ამერკავკასიის კოოპერატივთა კავშირისა) და იმ სამომხმარებლო საზოგადოებებს, რომელნიც აღნიშნულ არიან 1 §-ის შენიშვნაში; 2) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების რესპუბლიკანური სარეგისტრაციო კომისების მუშაობას; 3) განიხილოს და გადასწყვიტოს სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკანური სარეგისტრაციო კომისიის დადგენილების გამო შეტანილი საჩივარი და პროტესტი (იხ. § 24).

§ 4. სარეგისტრაციო კომისიებში წარმოებულ უნდა იქნეს:

ა) რესპუბლიკანურ კომისიაში: 1) რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა რეესტრი, 2) რეგისტრაციაქმნილ საზოგადოებათა ალფაბეტი, 3) გასაცემ ამონაწერთა და ასლთა დავთარი, 4) იმ სამომხმარებლო საზოგადოებათა ალფაბეტი, რომელთაგანაც მიღებულია შუამდგომლობა რეგისტრაციის შესახებ, 5) ყველა წარმოებული საქმის ჟურნალი;

ბ) ცენტრალურ კომისიაში: 1) სამომხმარებლო საზოგადოებათა რეგისტრაციაქმნილი კავშირებისა და 1-ლი §-ის შენიშვნაში აღნიშნულ რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა რეესტრი, 2) სამომხმარებლო საზოგადოებათა რეგისტრაციაქმნილი კავშირებისა და 1-ლი §-ის შენიშვნაში აღნიშნულ რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა ალფაბეტი, 3) გასაცემ ამონაწერთა და ასლთა დავთარი, 4) ალფაბეტი იმ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირებისა და 1-ლი §-ის შენიშვნაში აღნიშნული იმ სამომხმარებლო საზოგადოებებისა, რომელთაგანაც მიღებულია შუამდგომლობა რეგისტრაციის შესახებ, 5) ყველა წარმოებული საქმის ჟურნალი, 6) იმ სამომხმარებლო საზოგადოებათა ალფაბეტი, რომელთა რეგისტრაციის გამოც მიღებულია საჩივარი ან პროტესტი, 7) საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა ალფაბეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გარდა, შეიძლება შემოღებულ იქნეს დამატებითი დავთრები კომისიის შეხედულებისამებრ.

§ 5. წინა პარაგრაფში აღნიშნული რეესტრი ზონარგაყრილი და შემოწმებული უნდა იქნეს ბეჭდის დასმით და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელისმოწერით.

§ 6. რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა და კავშირთა ნუმერაცია რეესტრში არ განახლდება წლის დაწყებისას ან ახალი ტომის შედგენისას, არამედ წარმოებულ უნდა იქნეს ერთი ნუმერაცია განუწყვეტლივ, მთლად სარეგისტრაციო კომისიის არსებობის პერიოდის განმავლობაში.

§ 7. თვითეული სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, რომლის რეგისტრაციის შესახებაც აღძრულია შუამდგომლობა, შედგენილ უნდა იქნეს ცალკე საქმე; საქმეში ინახება კომისიაში მიღებული განცხადება რეგისტრაციის შესახებ, თანდართული დოკუმენტებით, ერთი ცალი წესდება და ტექსტი წესდების ყველა შემდგომი ცვლილებისა და დამატებისა, მთელი მიწერ-მოწერა საქმის გამო და კომისიის დადგენილება ამ საქმის შესახებ.

§ 8. რეგისტრაციაქმნილ სამომხმარებლო საზოგადოებათა და კავშირთა რეესტრში თვითეულ ორგანიზაციას მიეკუთვნება ცალკე ფურცელი, რომელზედაც განსაკუთრებულ გრაფებში აღინიშნება: ა) №№ რიგზე; ბ) საზოგადოების ან კავშირის სახელწოდება; გ) წინა რეგისტრაციის დრო; დ) აწინდელი რეგისტრაციის (ან ხელახალი რეგისტრაციის) დრო; ე) მოქმედების რაიონი; 3) მმართველობის ორგანოები და სარევიზიო კომისია; ზ) გამგეობის სამყოფელი ადგილი; თ) საპაიო და შესასვლელი შენატანის რაოდენობა და ჯერადი დამატებითი პასუხისმგებლობის ფარგალი; ი) კავშირისათვის—კავშირის წევრთა სია, მათი კავშირში შესვლისა და კავშირიდან გამოსვლის თარიღის აღნიშვნით; კ) წესდების შეცვლისა და დამატების თარიღი; ლ) ლიკვიდაციის დრო და მიზეზი; მ) შენიშვნა.

§ 9. სარეგისტრაციო კომისიის რეესტრისა და საქმეების დათვალიერება შეუძლიან ყველა მსურველს. ეს დათვალიერება შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ იმ სადგომში, სადაც რეესტრი და საქმეებია.

§ 10. კომისიის სხდომებისათვის შესდგება ოქმი, რომელშიაც ჩაიწერება ყველა მიღებული დადგენილება; ოქმს ხელს მოაწერს კომისიის შედგენილობა და მისი მდივანი. რესპუბლიკანური კომისიის ოქმის ასლი ცნობად გაეგზავნება ცენტრალურ კომისიას.

§ 11. განცხადებას ახლად დაარსებული სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ ხელს მოაწერენ დამფუძნებელთა კრების მიერ არჩეული საორგანიზაციო კომისიის წევრები, ხოლო განცხადებას წინად დაარსებულ ორგანიზაციათა რეგისტრაციის შესახებ ან რეგისტრაციაქმნილ ორგანიზაციათა წესდებების ცვლილებისა და დამატების რეგისტრაციის შესახებ ხელს მოაწერს ამ ორგანიზაციათა გამგეობა.

სარეგისტრაციო საქმის წარმოებისათვის რწმუნებულობა მიეცემა ერთ პირს (მიუხედავად იმისა, ეკუთვნის თუ არა იგი სარეგისტრაციო ორგანიზაციის მმართველ ორგანოებს) სარეგისტრაციო კომისიაში შეტანილი განცხადების ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით. აღნიშნული რწმუნებულობა შეიძლება მიეცეს სამომხმარებლო საზოგადოების სათანადო კავშირსაც, როშელიც ამ შემთხვევაში წარგზავნის სარეგისტრაციო კომისიის სხდომაზე თავის განსაკუთრებულ წარმომადგენელს.

§ 12. რეგისტრაციის შესახებ შეტანილი განცხადებისათვის და რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარდგენილი სხვა ქაღალდისათვის საღერბო და საკანცელარიო გამოსაღები გადახდევინებული არ უნდა იქნეს.

§ 13. რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ განცხადებაში საორგანიზაციო კომისიის წევრებმა და ამ კომისიის რწმუნებულობით მომქმედმა პირმა უნდა აღნიშნონ საორგანიზაციო კომისიის მისამართი და სამყოფელი ადგილი, რომლის მიხედვითაც სარეგისტრაციო კომისია გაგზავნის უწყებას და სხვა ქაღალდს საქმისგამო.

§ 14. განცხადებას რეგისტრაციის შესახებ უნდა დაერთოს:

1) ორგანიზაციის სრულიად ერთმანეთის მსგავსი სამი ცალი წესდება, საორგანიზაციო კომისიის ან გამგეობის მიერ ხელმოწერილი (§12);

2) დამფუძნებელთა კრების ან საერთო კრების (რწმუნებულთა კრება) ოქმი ახლად დაარსებული ორგანიზაციის წესდების მიღებისა და საორგანიზაციო კომისიის არჩევის შესახებ.

შენიშვნა. დამფუძნებელთა კრებას შეუძლიან რწმუნებამოსილჰყოს საორგანიზაციო კომისია, ხოლო საერთო კრებას (რწმუნებულთა კრება)— გამგეობა სარეგისტრაციო კომისიის მოთხოვნით წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანისათვის. ეს რწმუნებულობა აღნიშნულ უნდა იქნეს ოქმში წესდების მიღების შესახებ.

3) სამომხმარებლო საზოგადოების ზემდგომი კავშირის აზრი იმის შესახებ, რომ: ა) დაარსებული სამომხმარებლო საზოგადოების წევრთა რიცხვი შეეფერება სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ 1924 წლის მაისის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის (მთავრობის „ვესტნიკი“ 1924 წ. № 5, მუხ. 172) მე-5 მუხლის მოთხოვნას და ბ) დაარსებული სამომხმარებლო საზოგადოების ან კავშირის წესდება შეეფერება კანონის მოთხოვნას.

შენიშვნა. აზრი პირველი საფეხურის სამომხმარებლო საზოგადოების შესახებ, გარდა 1-ლი §-ის შენიშვნაში აღნიშნული ორგანიზაციებისა, უნდა მისცეს სამომხმარებლო საზოგადოებათა იმ კავშირმა, რომლის მოქმედების რაიონშიაც ორგანიზაცია არსდება, ხოლო 1-ლი §-ის შენიშვნაში აღნიშნულ სამომხმარებლო საზოგადოებათა და ამ საზოგადოებათა კავშირების შესახებ—ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირმა.

§ 15. განცხადებაზე ხელისმოწერა უნდა შეამოწმოს სახალხო მოსსმართლემ, ხოლო იმ ადგილას, სადაც სახალხო მოსამართლე არ არის,—ადგილობრივმა საბჭომ ან ვოლოსტის აღმასრულებელმა კომიტეტმა, კუთვნილებისამებრ.

§ 16. წესდების შეცვლისა ან დამატების შესახებ შეტანილ განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს: 1) ცვლილებისა ან დამატების სამი სრულიად ერთმანეთის მსგავსი, ტექსტი; 2) საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმის ამონაწერი აღნიშნული ცვლილებისა ან დამატების მიღების შესახებ; 3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-14 §-ის მე-3 პუნქტის შენიშვნაში აღნიშნული ერთ-ერთი სათანადო ხემდგომი მოკავშირე ორგანიზაციის აზრი იმის შესახებ, რომ: ა) წესდების ცვლილება ან დამატება კანონის მოთხოვნას შეეფერება, ბ) წევრთა რიცხვი იმ პირველი საფეხურის სამმხმარებლო თრგანიზაციისა, რომელმაც რეგისტრაციის შესახებ განცხადება შეიტანა, შეეფერება სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. მაისის 5-ის თარიღის დეკრეტის მე-5 მუხლის მოთხოვნას (იხ. მე-14 §-ის მე-3 პუნქტი).

წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ წარდგენილ ყველა დოკუმენტს ხელს მოაწერს გამგეობა.

§ 17. სარეგისტრაციო კომისია ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღებისა გადასწყვიტოს აღძრული შუამდგომლობა. უკეთუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან რეგისტრაციის თაობაზე შუამდგომლობის მიღებისა კომისია არ მიიღებს დადგენილებას რეგისტრაციის შესახებ ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, სათანადო ორგანიზაცია რეგისტრაციაქმნილად ჩაითვლება და იგი დაუყოვნებლივ შეტანილ უნდა იქნეს რეესტრში.

§ 18. სამი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კომისია მიიღებს დადგენილებას ორგანიზაციის წესდების რეგისტრაციისა და აგრეთვე წესდების ცვლილებისა და დამატების შესახებ, რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს სათანადო ჩანაწერი. ამ მომენტიდან კოოპერატიულ ორგანიზაციას აქვს იურიდიული პირის უფლება. აღნიშნული ჩანაწერის შეტანის შესახებ უნდა გაუკეთდეს წარწერა სამივე ცალ წესდებას ან სამივე ცალ ცვლილებასა და დამატებას. შენიშვნა ცვლილებისა და დამატების შესახებ გაუკეთდება კოოპერატიული ორგანიზაციისათვის მიცემულ წესდების დედანს.

§ 19. რეესტრის ყოველ ჩანაწერს ხელი უნდა მოაწეროს კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა.

§ 20. კომისიის დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციისა ან რეესტრში წესდების ცვლილებისა და დამატების აღნიშვნის შესახებ ეცნობება იმ ორგანიზაციას, რომლის შუამდგომლობითაც დადგენილება მიღებულ იქნა, რისთვისაც მას დაებრუნება ერთი ცალი წესდება, ან ცვლილებისა თუ დამატების ტექსტი წარწერით იმის შესახებ, რომ რეესტრში შეტანილია სათანადო ჩანაწერი (§ 19).

§ 21. ორგანიზაციის წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმა კომისიას შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ წესდება ან მასში შეტანილი ცვლილება თუ დამატება მომქმედი კანონების მოთხოვნას არ შეეფერება, და, კერძოდ, უკეთუ ახლად დაარსებული ან მომქმედი სამმხმარებლო საზოგადოების წევრთა რიცხვი არ შეეფერება სამმხმარებლო საზოგადოებათა ადგილობრივი კავშირისაგან,—სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამმხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ 1924 წლის მაისის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის (მთავრობის „ვესტნიკი“ 1924 წ. № 5, მუხლი 172) მე-5 მუხლის თანახმად, დადგენილ ნორმებს; ამასთანავე, დადგენილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ უნდა შეიცავდეს იმ საფუძველს, რომლის გამოც ორგანიზაციას რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 22. ასლი დასაბუთებული დადგენილებისა წესდების ან მისი ცვლილებისა და დამატების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, სამი დღის განმავლობაში დადგენილების გამოტანის დღიდან, გაეგზავნება იმ ორგანიზაციას, რომელმაც რეგისტრაციის თაობაზე განცხადება შეიტანა.

§ 23. განცხადების შემტან ორგანიზაციას შეუძლიან ერთი თვის განმავლობაში დასაბუთებული დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან (§ 22) შეიტანოს საჩივარი, ხოლო მთავრობის დაწესებულებას ან 24 §-ში აღნიშნულ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს შეუძლიან განაცხადოს პროტესტი: 1) რესპუბლიკანური კომისიის დადგენილების გამო—ცენტრალურ კომისიაში და 2) ცენტრალური კომისიის დადგენილების გამო—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში. საჩივარი და პროტესტი შეიტანება იმ კომისიის მეშვეობით, რომელმაც დადგენილება გამოიტანა; აღნიშნული კომისია ვალდებულია სამი დღის განმავლობაში წარმართოს საჩივარი ან პროტესტი, საქმითა და თავისი ახსნა-განმარტებით, დანიშნულებისამებრ.

§ 24. პროტესტის უფლება აქვს: 1) სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების სარეგისტრაციო რესპუბლიკანური კომისიის დადგენილების მიმართ—საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს, რეგისტრაციაში გასატარებელი ორგანიზაციის გამგეობის სამყოფელი ადგილის მიხედვით, მისი წესდების თანახმად; 2) ცენტრალური სარეგისტრაციო კომისიის დადგენილების მიმართ—იმ რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს, რომლის ტერიტორიაზედაც რეგისტრაციაში გასატარებელი ორგანიზაციის გამგეობა იმყოფება, მისი წესდების თანახმად, და ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირს.

§ 25. ცენტრალური კომისია, ხოლო სათანადო შემთხვევაში—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგია ვალდებულია განიხილოს საჩივარი ან პროტესტი ორი კვირის ვადაზე დღიდან კომისიაში ან ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში საქმის მიღებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე აღნიშნული საჩივრისა თუ პროტესტის განხილვის დროს მიწვეულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირისა და ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის თითო წარმომადგენელი.

§ 26. ასლი ცენტრალური სარეგისტრაციო კომისიის გადაწყვეტილებისა სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდების სარეგისტრაციო რესპუბლიკანური კომისიის დადგენილების გამო წარდგენილი საჩივრისა ან პროტესტის შესახებ და აგრეთვე ასლი ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილებისა ცენტრალური სარეგისტრაციო კომისიის დადგენილების გამო წარდგენილი საჩივრისა ან პროტესტის შესახებ, სამი დღის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა, გაეგზავნება; ა) იმ კომისიას, რომლის დადგენილების გამოც შეტანილია საჩივარი ან პროტესტი; ბ) იმ ორგანიზაციას, რომელმაც საჩივარი შეიტანა ან და გ) მთავრობის დაწესებულებას ან სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს, რომელთაც პროტესტი განაცხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივრის ან პროტესტის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების ასლის მიღებისას კომისია ვალდებულია სამი დღის განმავლობაში აღასრულოს აღნიშნული გადაწყვეტილება და დაუყონებლივ აცნობოს ეს იმ ორგანიზაციას, რომლის შუამდგომლობითაც საქმე შეტანილ იქნა კომისიაში.

§ 27. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 17-ის თარიღისა და 55 №-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 1638 №, 1927 წ. ნოემბრის 29-ისა) თანახმად სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა წესდებანი, რაც რეგისტრაციაქმნილია სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებში და სხვა ორგანოებში, ხელახლად გატარებულ უნდა იქნენ რეგისტრაციაში 1928 წლის მაისის 1-მდე ხსენებული 1927 წლის ნოემბრის 17-ის თარიღისა და 55 №-ის დადგენილებით და ამა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ; ყველა ორგანიზაციას, რომლის წესდებასაც აღნიშნულ საფუძველზე 1928 წლის მაისის 1-მდე რეგისტრაცია არ გაუკეთდება, ლიკვიდაცია უნდა ექნეს.

§ 28. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან არსებულ სარეგისტრაციო კომისიას უფლება ეძლევა ზედამხედველობა გაუწიოს კოოპერატიული პრინციპების განხორციელების საქმეს იმ ორგანიზაციების მიერ, რომელთა წესდებასაც ამ კომისიაში რეგისტრაცია გაუკეთდება; ამ მიზნით ყველა კომისიას (როგორც რესპუბლიკანურს, ისე ცენტრალურს) შეუძლიან დააკისროს სამომხმარებლო საზოგადოებათა სათანადო კავშირს ამ ორგანიზაციების მოწყობა.

§ 29. უკეთუ სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციის მოქმედებაში აღმოჩენილ იქნება წესდებით გათვალისწინებული მიზნისაგან გადახვევა იმ მიმართულებით, რაც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, კომისია წარმართავს სათანადო მოხსენებას ამგვარი ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" 1924 წლის მაისის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის (მთავრობის „ვესტნიკი" 1924 წ. № 5, მუხ. 172) მე-16 მუხლის „დ" პუნქტში.

§ 30. გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციოდ წარდგენის თაობაზე კომისიის მიერ გამოიტანება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ კოოპერატიული ორგანიზაციის ზემდგომი საკავშირო შენაერთი მისცემს სათანადო დასკვნას საქმის არსებითი გარემოების შესახებ.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ა. ბეკზადიანი.**

ამიერკავკასიის პროფ. კავშ. საბჭოს თავმჯდომარე **იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის კოოპ. კავშ. გამგეობის თავმჯდომარე **ბუკრეევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 13 (1679) № ში 1928 წლის იანვრის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

15. ამხ. ს. ლ. ლუკაშინის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და ამხ. ა. მ. ნაზარეთიანის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. განთავისუფლებულ იქნეს ამხ. სარქის ლუკიანეს-ძე ლუკაშინი, მისი თხოვნის თანახმად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

II. დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად ამხ. ამაიაკ მარქარას ძე ნაზარეთიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1928 წლის იანვრის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 15 (1681) №-ში 1928 წ. იანვრის 19-ს.

დადგენილება № 3 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

16. ა/კსფსრ-ში საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატების მიერ ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის გამოსაღების ნიხრის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის შესახებ 1927 წლის იანვრის 27-ის თარიღითა და 4 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1927 წ. № 3, მუხ. 34) მე-8 მუხლის მიხედვით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ნიხრი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1928 წლის იანვრის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ი ხ რ ი

ა/კსფსრ საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატების მიერ ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისათვის.

სამუშაოთა სახელწოდება	გამოსაღები მან.	კაპ.
ა. მ რ ი ც ხ ვ ე ლ ი.		
შემოწმება მუდმივი ან ერთფაზიანი ცვალებადი დენის ელექტრონის მრიცხველისა არა უმეტეს 250 ვოლტის ჭინვისა და დენის უდიდესი ძალისათვის არა უმეტეს 5 ამპერისა	1	50
იგივე, 5 ამპერზე მეტი 10 ამპერამდე	2	—
იგივე, 10 ამპერზე მეტი 25 ამპერამდე	3	—
იგივე, 25 ამპერზე მეტი 50 ამპერამდე	4	—
იგივე, 50 ამპერზე მეტი 100 ამპერამდე	5	—
იგივე, 100 ამპერზე მეტი 200 ამპერამდე	6	—
იგივე, 200 ამპერზე მეტი 300 ამპერამდე	8	—
იგივე, 300 ამპერზე მეტი 500 ამპერამდე	10	—
იგივე, 500 ამპერზე მეტი 1000 ამპერამდე	15	—
შემოწმება სამფაზიანი დენის ელექტრონის მრიცხველისა არა უმეტეს 250 ვოლტის ჭინვისა და დენის უდიდესი ძალისათვის არა უმეტეს 5 ამპერისა	2	25
იგივე, 5 ამპერზე მეტი 10 ამპერამდე	3	—
იგივე, 10 ამპერზე მეტი 25 ამპერამდე	4	50
იგივე, 25 ამპერზე მეტი 50 ამპერამდე	6	—
იგივე, 50 ამპერზე მეტი 100 ამპერამდე	7	50
იგივე, 100 ამპერზე მეტი 200 ამპერამდე	9	—
იგივე, 200 ასპერზე მეტი 300 ამპერამდე	12	—
იგივე, 300 ამპერზე მეტი 500 ამპერამდე	15	—
იგივე, 500 ამპერზე მეტი 1000 ამპერამდე	22	50
იმ მრიცხველთა შემოწმებისათვის, სადაც ჭინვა აღემატება 250 ვოლტს 1000 ვოლტამდე, ზემოაღნიშნული სასყიდლის გარდა, დამატებით გადახდევინებულ უნდა იქნეს	1	—
იგივე, როცა ჭინვა აღემატება 1000 ვოლტს 10.000 ვოლტამდე, დამატებით გადახდევინებულ უნდა იქნეს	2	50
ბ. მ ზ ო მ ა ვ ი ტ რ ა ნ ს ფ ო რ მ ა ტ ო რ ე ბ ი.		
ტრანსფორმაციის კოეფიციენტისა და დენის მზომავი ტრანსფორმატორის ძვრის კუთხის განსაზღვრა დენის უდიდესი ძალისათვის არა უმეტეს 100 ამპერისა	5	—
იგივე, 100 ამპერზე მეტი 500 ამპერამდე	7	—
იგივე, 500 ამპერზე მეტი 1000 ამპერამდე	15	—
ტრანსფორმაციის კოეფიციენტისა და მზომავი ტრანსფორმატორის ძვრის კუთხის განსაზღვრა არა უმეტეს 250 ვოლტის ჭინვისათვის	5	—
იგივე, 250 ვოლტზე მეტი 500 ვოლტამდე	7	—
იგივე, 500 ვოლტზე მეტი 1000 ვოლტამდე	9	—
იგივე, 1000 ვოლტზე მეტი 10.000 ვოლტამდე	12	—

შენიშვნა. შემმოწმებელ პალატის გარეშე მრიცხველისა და მზომავი ტრანსფორმატორის შემოწმებისათვის შემოწმების ნიხრი 20%-ით გადიდება.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 16 (1682) №-ში 1928 წლის იანვრის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 4 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

17. 7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კომისიების დაარსების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად, —სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის ოქტომბრის 15-ს მანიფესტის (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1927 წ. № 61, მუხ. 613) თანახმად, —დაარსებულ იქნეს ამიერკავკასიის კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე იაშვილი (ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი), ამხ. სეიდ-ჯაფარ იაკუბოვი (ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე) და ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი (ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად მოაწყონ რესპუბლიკანური კომისიები შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—შრომის სახალხო კომისარი და წევრები—პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელნი.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის კომისიას, ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, შეიმუშაოს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კომისიების მუშაობის წესი და მათი გამგებლობის საგნები და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართ. **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. იანვრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 17 (1683) №-ში 1927 წ. იანვრის 21-ს.

დადგენილება № 5 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

18. მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმების წარდგენისა და აღნუსხვის შესახებ.

ა/კსფსრ-ში წარმოებული მუშათა საბინაო მშენებლობის მოწესრიგებისა და აღნუსხვისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას), კოოპერატიულ ორგანიზაციას და აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებელ კომიტეტს, რომელიც კი მუშათა საბინაო მშენებლობას ეწევა, წარუდგინოს მეორე მუხლით დადგენილ ვადაზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპრბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტებს—კუთვნილისამებრ—დამტკიცებულ სბიუჯეტო ასიგნვაზე დამყარებული საორიენტირო და ოპერატიული გეგმები აღნიშნული საბინაო მშენებლობისა და აგრეთვე საანგარიშო ცნობები ამ გეგმების განხორციელების შესახებ.

2. პირველ მუხლში აღნიშნული გეგმებისა და ანგარიშების წარდგენისათვის დადგენილ იქნეს შემდეგი უკიდურესი ვადა: ა) საორიენტირო გეგმებისათვის—საოპერაციო წლის წინა წლის აგვისტოს 1-ლი; ბ) ოპერატიული გეგმებისათვის—საოპერაციო წლის თებერვლის 1-ლი; გ) ანგარიშებისათვის—საოპერაციო წლის მომდევნო წლის იანვრის 1-ლი.

3. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში მყოფ სამრეწველო საწარმოთა მიერ წარმოებული მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმებისა და ანგარიშების წარდგენა დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს; საბინაო კოოპერაციის მიერ წარმოებული მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმებისა და ანგარიშების წარდგენა—სათანადო საბინაო-კოოპერატიულ შენაერთს; აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოებული მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმებისა და ანგარიშების წარდგენა—იმავე აღმასრულებელ კომიტეტებს; ტრასპორტის მიერ წარმოებული მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმებისა და ანგარიშების წარდგენა, თანადად—ამიერკავკასიის რკინისგზის სამმართველოს, ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს და ამიერკავკასიის საპორტო განყოფილებას, რომელნიც ამ გეგმებსა და ანგარიშებს წარუდგენენ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და იმავე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტს.

4. ყველა ის ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელიც ამა დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს არ მიეკუთვნება, მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმებსა და ანგარიშებს დადგენილ ვადაზე წარუდგენს უშუალოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი საათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტს.

5. მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის აღნუსხვა და მის შესახებ ცნობების წარდგენა დაეკისროს აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელნიც ამ ცნობებს დადგენილ ვადაზე წარუდგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტს.

6. მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე რესპუბლიკანური კომიტეტი მუშათა მშენებლობის გეგმებსა და ანგარიშებს წარუდგენს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ უკიდურესი ვადის გასვლისას, რაც მათი წარდგენისათვის დაწესებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლით.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო ეომისარიატს, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია გეგმებისა და ანგარიშების წარდგენის ფორმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. იანვრის 21.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 19 (1685) №-ში 1928 წ. იანვრის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

19. მცირე შეძლების მოსახლეობისათვის ადგილობრივი გადასახადის ნარჩენისა, ჯარიმისა და საურავის მოხსნის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მცირე შეძლების მოსახლეობისათვის გადასახადისა და რენტის ნარჩენისა, ჯარიმისა და საურავის მოხსნის შესახებ 1927 წლის ნოემბრის 2-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1927 წლის № 61, მუხ. 619) აღსასრულებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მუშა-მოსამსახურეს და აგრეთვე იმ პირს, რომლისთვისაც დასაბეგრი ქონება შემოსავლის ერთად-ერთი წყაროა,—მოეხსნას სრულად შენობის გადასახადის საურავი, რაც მასზე 1927 წლის ნოემბრის 7-სათვის ირიცხება.

2. მოეხსნას სრულად მუშა-მოსამსახურეს და აგრეთვე იმ პირს, რომლისთვისაც დასაბეგრი ქონება შემოსავლის ერთად-ერთი წყაროა, ყველა სხვა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენი, ჯარიმა და საურავი, რაც მასზე იმავე ვადისთვის ირიცხება.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაავალონ სათანადო რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისრებს გამოსცენ ინსტრუქციები ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. იანვრის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 20 (1686) №-ში 1928 წ. იანვრის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წლის დეკემბრის 7.

№ 9

20. ამიერკავკასიის საავტო-ტრანსპორტო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოებისა და შოფერთა კოოპერატიული ამხანაგობის „მოტორ"-ის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ავტორეისების სამგზავრო ბილეთებზე მიზნობრივი გამოსაღების დაწესების შესახებ საავტო-ტრანსპორტო პროფტეხნიკური განათლების ფონდისათვის.

1. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 18-ის დადგენილების განსავითარებლად დაწესებულ იქნეს მიზნობრივი გამოსაღები ამიერკავკასიის საავტო-ტრანსპორტო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოებისა და მისა და შოფერთა კოოპერატიული ამხანაგობის „მოტორ"-ის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ავტო-რეისების სამგზავრო ბილეთებზე, საავტო-ტრანსპორტი პროფტეხნიკური განათლების ფონდისათვის, შემდეგი რაოდენობით:

1) ბილეთზე, რომელიც ღირს 5 მანეთამდე . . . . . 5 კაპ.
2) „ „ „ 5-დან 10 მანეთამდე . . 10 კაპ.
3) „ „ „ 10 მანეთი და მეტი . . 15 კაპ.

2. ამიერკავკასიის საავტო-ტრანსპორტო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოებისა და შოფერთა კოოპერატიული ამხანაგობის „მოტორ"-ის იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საჭირო იქნება აღნიშნული გამოსაღების ორგანიზაციის ტეხნიკისა და მისი აღნუსხვისათვის, — გამოსაღების საერთო თანხიდან გადაირიცხოს 2% ხსენებულ ორგანიზაციათა სასარგებლოდ.

3. დადგენილება ესე დამტკიცებულია ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის იანვრის 14-ის სხდომაზე (ოქმი № 2).

გამოსაღები ესე შემოღებულია 1928 წლის თებერვლის 1-დან და გადახდევინებულ უნდა იქნეს მის გაუქმებამდე.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყ. სატ.
თათბირის საქმეთა მმართ., უფროსი ეკონ. **ა. მ. ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 20 (1686) №-ში 1928 წ. იანვრის 25-ს.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

21. შინგამოხდილი არყის დამზადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ.

პურის დამზადების საქმის გასაძლიერებლად და შინგამოხდილი არყის დამზადებასთან საბრძოლველად, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის დეკემბრის 27 დადგენილების („იზვესტია“ № 298, 1927 წ. დეკემბრის 29-ისა) თანახმად, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ორი კვირის ვადაზე დააწესონ სათანადო სისხლის სამართლის კოდექსში, სოციალური დაცვის ღონისძიებათა შორის,—შინგამოხდილი არყის დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის, რაც დევნილ უნდი იქნეს სისხლის სამართლის წესისამებრ, და აგრეთვე შინგამოხდილი არყის დასამზადებლად საჭირო სპეციალურ-ი აპარატების დამზადებისა, შენახვისა, რემონტისა და გასაღებისათვის, —ჯარიმა 500 მანეთამდე;

ბ) იმავე ვადაზე დააწესონ „ა“ პუნქტში აღნიშნული სახის ქმედობისათვის, უკეთუ იგი სათანადო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის, პასუხისმგებლობა ადმინისტრატიული წესით, ერთ თვემდე იძულებითი მუშაობისა ან 100 (ას) მანეთამდე ჯარიმის შეფარდებით თვითეული ცალკე შემთხვევის გარემოებათა მიხედვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებილი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. იანვრის 11.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 21 1687) №-ში 1928 წ. იანვრის 26-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

22. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის საერთო ხელმძღვანელობისა, ინსტრუქტიობისა და მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს.

2. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების გაკეთებისა, რემონტისა და შენახვის ყველა საპრესპექტივო წლიური გეგმა და ხარჯთაღრიცცა ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოს მიერ წარედგინება დასადასტურებლად სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) მეშვეობით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

3. ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველო რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ტეხნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს საინსპექტორო დათვალიერების მეშვეობით.

4. ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველო მისცემს ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოებს ზოგადი ხასიათის წესებსა და ინსტრუქციებს, რაც მოაწესრიგებს საგზაო საქმის ტეხნიკურ მხარეს სათანადო რესპუბლიკაში.

5. ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველო საოპერაციო წლის განმავლობაში წარუდგენს დასამტკიცებლად სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საფინანსო-სატეხნიკო ხასიათის კვარტალურ, ხოლო საბიუჯეტო წლის გასულს—საინფორმაციო ანგარიშს ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამართველოს მიერ დადგენილი ერთნაირი ფორმით.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კამისართა საბჭოების მიერ დამტკიცებული ანგარიშები ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუსპუბლიკანური სამმართველოებისა წარედგინება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) მეშვეობით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი სასახლე. 1928 წლის იანვრის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 22 (1688) №-ში 1928 წ. იანვრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

23. ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების საველერინარო გასინჯვის გამოსაღების შესახებ.

ხორცის დამზადებისა და ხორცის ვაჭრობის ზედნადები ხარჯის შესამცირებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების 1926 წლის აგვისტოს 9-ის დებულების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 8, მუხ. 697) 51 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„51. წინა (50) მუხლში აღნიშნული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს გასასინჯი ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტის ნორმალური შეფასების $^1/_4$%-ს და, ყოველ შემთხვევაში, ერთი სული მსხვილი რქოსანი საქონლისათვის 30 კაპიკზე მეტი არ უნდა იყოს“.

2. ზემოაღნიშნული 51 მუხლის შენიშვნა დარჩეს წინანდელი რედაქციით.

3. იმავე დებულების 54 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი — სასახლე. 1928 წ. იანვრის 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 22 (1688) №-ში 1928 წ. იანვრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

24. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. იანვრის 30.

დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის შესახებ.

1. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონებრივი დავის გადასაწყვეტად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყობა ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია.

2. ქონებრივ დავათა რიცხვიდან, რაც ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას ექვემდებარება, გამოირიცხება:

ა) დავა ერთი და იმავე უწყების სეხელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის, უკეთუ ორივე მოდავე მხარე სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფება;

ბ) დავა, რაც გამომდინარეობს რკინისგზით გადაზიდვის ხელშეკრულებიდან და რაც მოწესრიგდება რკინისგზის წესდებით და აგრეთვე დავა, რაც მოწესრიგდება საფოსტო განაგზავნისათვის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების პასუხისმგებლობის შესახებ არსებული განსაკუთრებული წესებით;

გ) დავა, რაც სახელმწიფო ბანკისა და სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის ოპერაციების გამო აღიძვრის იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა მოსარჩელე ან მოპასუხეა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დავა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა საგადასახადო ორგანოებთან იმ გადასახადითა და გამოსაღებით დაბეგვრის გამო, რომელთა გადახდევინებაც, თანახმად მომქმედი კანონმდებლობისა, სწარმოებს უდავო წესით და აგრეთვე დავა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან ბიუჯეტის შესრულების გამო;

ე) სარჩელი პროტესტქმნილი თამასუქის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სათამასუქო სარჩელის წინაღმდეგ, მომქმედი კანონების თანახმად, შეიძლება განცხადებულ იქნეს იმ გარიგებიდან გამომდინარე მისაგებელი, რაც თამასუქის გაცემას ან გადაცემას საფუძვლად დაედვა;

ვ) სარჩელი, რაც გამომდინარეობს საერთო ტიპის ხელშეკრულებიდან კომუნალური მომსახურეობის გამოყენების შესახებ, სახელდობრ: ტელეფონისა, ელექტრონისა, განათებისა, წყალსადენისა და აგრეთვე სადგომებისა.

შენიშვნა. მე-2 მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულ დავათა რიცხვს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „გადასახადთა გადახდევინების დებულების წესესების ზოგიერთი კატეგორიის სახელმწიფო არასაგადასახადო შემოსავლის ვადაზე შეუტანელი გადასახდელის გადახდევინებაზე გავრცელების შესახებ“ 1926 წ. სექტემბრის 17-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. № 64, მუხ. 182) თანახმად, არ მიეკუთვნება ისეთი დავა, რომლისთვისაც დადგენილია განსაჩივრების ორვეარი წესი: ადმინისტრატიული ან სასამართლო, გადამხდელის შეხედულებისამებრ, —სახელდობრ დავა: 1) სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებისა და აგრეთვე სათევზაო და მხეცების ხოცვის სასარეწაოების და ტორფის ჭაობების სარგებლობისათვის გაცემის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გამო; 2) მადნეულობის საბადოს სარგებლობისთვის გადასახდელის გამო, მიწის წიაღის შესახებ არსებულ კანონდებულებათა თანახმად; 3) მერქანის სამორე გადასახადის გამო.

3. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრებისაგან—ხუთიდან თხუთმეტამდე.

ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და წევრებს დანიშნავს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

4. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია განიხილავს ქონებრივ დავას:

ა) უკეთუ ერთი ან ორივე მოდავე მხარე არის ადგილობრივი ორგანო სსრ კავშირის ცენტრალური დაწესებულებისა ან ისეთი საწარმოსი, რომელიც არსებული წესით ცნობილია საერთო-საკავშირო საწარმოოდ და უკეთუ, ამასთანავე, სათანადო დაწესებულების ან საწარმოს ცენტრალური ორგანოს მეთაური არ მოითხოვს, რომ დავა გადასაწყვეტად სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიას გადაეცეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უკეთუ მოდავე მხარენი არიან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის დაწესებულებათა და საწარმოთა ცენტრალური ორგანოები და უკეთუ, ამასთანავე, ერთ-ერთი მოდავე მხარე არ მოითხოვს, რომ დავა გადასაწყვეტად სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიას გადაეცეს;

გ) უკეთუ ერთი ან ორივე მოდავე მხარე ა/კსფსრ დაწესებულებათა და საწარმოთა ცენტრალური ორგანოა;

დ) უკეთუ ერთი ან ორივე მოდავე მხარე ა/კსფსრ ცენტრალურ დაწესებულებათა და საწარმოთა ადგილობრივი ორგანოა;

ე) უკეთუ მოდავე მხარენი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკის დაწესებულებათა და საწარმოთა ცენტრალური ორგანოები არიან.

შენიშვნა 1. 1000 მან. მეტი ღირებულების ქონებრივი დავა, როდესაც ერთი მხარე მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი დაწესებულება ან საწარმოა, ხოლო მეორე—კოოპერატიული ორგანიზაციათა კავშირი ან შერეული სააქციო საზოგადოება, რომელშიაც სახელმწიფო კაპიტალი არ მეტობს,—ექვემდებარება ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას, უკეთუ ხსენებული კავშირი ან საქციო საზოგადოება ამ ქვემდებარეობის წინააღმდეგი არ არის.

შენიშვნა 2. ამა მუხლში და მის შენიშვნაში აღნიშნული ყველა დავა ექვემდებარება რესპუბლიკანურ საარბიტრაჟო კომისიას, უკეთუ სარჩელის ღირებულება 1000 (ერთი ათასს) მან. არ აღემატება.

შენიშვნა 3. იმ დაწესებულებასა და საწარმოზე, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ექვემდებარება, გავრცელდება ქვემდებარეობის წესები თანახმად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის დებულებისა (კან. კრ. 1926 წ. მე-13 №-რი, მუხ. 90).

5. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია მიიღებს საქმეს წარმოებისათვის ა/კსფსრ მთავრობის უმაღლესი ორგანოების (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო და უმაღლესი ეკონომიური საბჭო) განკარგულებით ან იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს წერილობითი განცხადებით, რომელიც თავის უფლებას დარღვეულად სთვლის.

6. დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა დაეკისრება საქმეში მონაწილე მხარეებს. უკეთუ საჭირო იქნება, ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია წინადადებას მისცემს მხარეთ—წარადგინონ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები ან შეჰკრებს მათ თავისი ინიციატივით.

7. გადაწყვეტილების დადგენის დროს ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია გადასწყვეტს დავას უფლების შესახებ, რისთვისაც იხელმძღვანელებს საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის საერთო პრინციპებს და სსრ კავშირისა, ა/კსფსრ და ამ უკანასკნელის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომქმედ კანონმდებლობას და აგრეთვე უწყებათა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა იმ განკარგულებებს, რაც გამოცემულია მათთვის მინიჭებული კომპენტეციის ფარგალში.

8. გადაწყვეტილების გამოტანის დროს ამერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან მიიღოს მხედველობაში საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები და დაადგინოს:

ა) შესრულების ვადის გადადება ან განაწილება;

ბ) შესრულების საგნის მეორე საგნად ან ფულის ეკვივალენტად შეცვლა;

გ) გამონაკლის შემთხვევაში—სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება ვალდებულებისა თუ პასუხისმგებლობისაგან.

ამა წესის შეფარდება საერთოდ და მთლიანად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საავაჭრო ბრუნვის სიმტკიცის პრინციპს და ეს შეფარდება თვითეულ ცალკე შემთხვევაში დასაბუთებულ უნდა იქნეს.

9. გადაწყვეტილებაში ან ცალკე დადგენილებაში ამერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია აღნიშნავს შესრულების კონკრეტულ საშუალებას ან მისცემს ზოგად დირექტივს შესრულების საშუალების შესახებ.

10. ამერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

11. ამერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლოს გადაწვეტილების ძალა აქვს და სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს თვით მხარეთა მიერ. გადაწყვეტილება, რომელსაც მხარენი ამერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის მიერ დადგენილ ვადაზე არ შეასრულებენ, მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში იძულებითი წესით, განსაკუთრებული წესების თანახმად.

12. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან არსებული საარბიტრაჟო კომისიების მოქმედების გასაცნობად—ამერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს მათ გადაწვეტილებათა ასლისა და სხვა მისთვის საჭირო ცნობებისა, აგრეთვე წარმოებული საქმის დედნის წარდგენა.

13. უკეთუ ამერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებაში დაინახავს ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებისაგან გადახრას ან და ა/კსფსრ და სსრ კავშირის კანონების დარღვევას, იგი ამას აცნობებს სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს და იმ საარბიტრაჟო კომისიას, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა. უკეთუ ამერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია ერთი თვის განმავლობაში არ მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა მასთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიას—გადასინჯოს გადაწყვეტილება ამერკავკასიის უმაღლესი საარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიტრაჟო კომისიის მიერ ნაჩვენები მიმართულებით,—იგი შეიტანს საკითხს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

14. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია მოქმედებს განმწესრიგებელი, სასამართლო და პლენარული სხდომების შედგენილობით.

განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყდება სასამართლო წარმოების კერძო საკითხი, რაც საქმის გარემოებათა განსამარტებლად მხარეთა გამოწვევას არ მოითხოვს.

სასამართლო სხდომაზე გადაწყდება საქმე არსებითად და აგრეთვე სასამართლო წარმოების კერძო საკითხები, მათ შორის განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყვეტილიც, უკეთუ ერთ-ერთი მხარე აღძრავს შუამდგომლობას საკითხის გადასინჯვის შესახებ არა უგვიანეს 2 კვირისა განსაჩივრებული დადგენილების გამოტანის დღიდან.

პლენარულ სხდომა, რომლის შედგენილობაც ყველა წევრთა რიცხვის ნახევარს მაინც უნდა უდრიდეს, მისცემს სახელმძღვანელო განმარტებას პრინციპიალური ხასიათის საკითხების შესახებ, რაც ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის მუშაობაში აღიძვრის. პლენუმს უფლება აქვს გააუქმოს, ზედამხედველობის წესით, ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება, რასაც მას გადასცემს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე ან ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარე.

ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ პლენუმში საკითხის შეტანის უფლება ეკუთვნის აგრეთვე იმ პირს, რომელიც სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობა, უკეთუ გადაწყვეტილების გამოტანის დროს მან თავისი განსაკუთრებული აზრი განაცხადა.

15. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის მოქმედებიდან გამომდინარე პრინციპიალური ხასიათის დავის გადასაწყვეტად წელიწადში ორჯერ მაინც მოიწვევა კომისიის გაფართოებული პლენუმი თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, კომისიის წევრთა და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო კომისიების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების შედგენილობით.

16. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ეკუთვნის უფლება ზედამხედველობა გაუწიოს ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის მოქმედებას.

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შეუძლიან, ზედამხედველობის წესით, შესცვალოს ან გააუქმოს ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება და გადასცეს მას საქმე ხელახალი განხილვისათვის.

იმ დაწესებულებას, რომელსაც ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში საკითხების უშუალოდ შეტანის უფლება აქვს, შეუძლიან წარუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, არა უგვიანეს ერთი თვისა საქმისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების დართვის დღიდან, საკითხი ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ (ზედამხედველობის წესით), უკეთუ უკმაყოფილება გადაწყვეტილების გამო 20.000 მანეთზე მეტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხას შეეხება. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს აღნიშნული შუამდგომლობა განუხილველად დასტოვოს.

17. ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის საქმეთა წარმოებისა და გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების წესებს და აგრეთვე კომისიაში წარმოებული საქმეებისათვის სასამართლო ბაჟისა და სხვა გამოსაღების გადახდევინების წესებს დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო, კომისიის წარდგენითა.

18. ამა დებულების გამოცემისათანავე ძალას ჰკარგავს 1923 წ. მარტის11-ს თარიღის დებულება ა/კსფსრ ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონებრივი დავის გადაწყვეტის წესის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. № 4, მუხ. 42), შემდგომი ცვლილებებით, რაც აღნიშნულ დებულებაში შეტანილ იქნა 1923 წ. აპრილის 29-ს (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. № 7, მუხ. 92).

19. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო კომისიების დებულებანი შეთანხმებულ უნდა იქნენ ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის ამა დებულებასთან.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 817. დაიბეჭდა 1.000.